

# ფრანგულენოვან მოსწავლეთა კონფერენციის დებულება „ფრანგები საქართველოში“

კონფერენციის ორგანიზატორები არიან :

- სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის N23 საჯარო სკოლა;
- საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი

## თავი I. ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. კონფერენციის მიზანი, ამოცანები და ჩატარების პრინციპები

ა. კონფერენციის მიზანია მოსწავლეებში მოხდეს ფრანგული ენის პოპულარიზაცია და საქართველო საფრანგეთის საუკუნოვანი ურთიერთობების გაცნობა.

ბ. კონფერენცია ტარდება წახალისების, საჯაროობის, ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით.

## თავი II. კონფერენცია

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის N23 საჯარო სკოლა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი ახორციელებს ერთობლივ კონფერენციას საუკეთესო სასწავლო პროექტის გამოსავლენად, რომელიც საქართველოში ფრანგი საზოგადო მოღვაწეების საქმიანობას ეხება.

ფრანგულენოვან მოსწავლეთა კონფერენციის სახელწოდებაა: „**ფრანგები საქართველოში**“

*დაზუსტება: მოსწავლეებმა უნდა იკვლიონ ფრანგი მოღვაწეების როლი საქართველოში, სხვადასხვა სფეროში (არქიტექტურა, მეცნიერება, კულტურა, განათლება და სხვ.) მათი საქმიანობა. იმსჯელონ იმაზე, თუ რა სფეროების განვითარება უკავშირდებათ მათ სახელს. პროექტი მთლიანად ორიენტირებული უნდა იყოს კვლევა-ძიებაზე და ორიგინალური გადაწყვეტაზე. ყოველივე უნდა გამორიცხავდეს პლაგიატის არსებობას.*

კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს VIII-XII კლასის, 3-5 მოსწავლისგან შემდგარ გუნდს, რომელიც ამზადებს პროექტს. კონფერენციის დასკვნით ღონისძიებაზე კი წარადგენს ნამუშევრის პრეზენტაციას, პრეზენტატორთა რაოდენობას განსაზღვრავს თავად გუნდი.

**ნაშრომის სტრუქტურა, რომელსაც მოსწავლეთა გუნდი, მასწავლებლის ხელმძღვანელობით ადგენს, უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს :**

- პროექტის აქტუალურობის დასაბუთება;
- პროექტის მიზანი და ამოცანები;
- პროექტის მსვლელობა - ძირითადი აქტივობები;
- პროექტის მონაწილეები;
- პროექტის ხანგრძლივობა;
- საჭირო რესურსი;

- პროექტის შედეგები;
- პროექტის შეფასება.

**მოსწავლეთა გუნდი ნაშრომს შემდეგი სახით წარადგენს :**

1. პროექტის წერილობითი გეგმა, ფრანგულ ენაზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ზემოთ ხსენებულ კომპონენტებს და მასწავლებლის რეფლექსია, რომელშიც უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს : რამდენად შეძლეს მოსწავლეებმა გუნდურად მუშაობა? რამდენად იყო თითოეული მათგანი ჩართული? მოხერხდა თუ არა დასახული მიზნის მიღწევა? რა სარგებელი მიიღეს პროექტის მონაწილეებმა?
2. მოსწავლეთა ვიდეო რგოლი, ფრანგულ ენაზე - მოსწავლეები ,1 წუთის განმავლობაში, საუბრობენ რატომ აარჩიეს კონკრეტული თემა, რა იყო მუშაობის პროცესში საინტერესო და რა მისცათ ამ პროექტმა მათ. გუნდი აღნიშნულ ვიდეოს ტვირთავს youtube.com-ზე და აგზავნის აღნიშნული ვიდეოს ლინკს.
3. პროექტის პრეზენტაცია , ფრანგულ ენაზე (Power Point, Prezi ...)- მუშაობის პროცესისა და შედეგები გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის. სლაიდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12. პრეზენტაციის დრო 5 წუთი.

**მუხლი 3. კონფერენციის გამოცხადება - პროცედურები და ვადები**

ინფორმაცია კონფერენციის გამოცხადების შესახებ ეგზავნებათ საჯარო და კერძო სკოლებს, ქვეყნდება ორგანიზატორი სკოლისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ვებგვერდზე და სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე.

შეტყობინება კონფერენციის შესახებ უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) მონაწილე სკოლა, ხელმძღვანელი მასწავლებლის სახელი - გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია;
- ბ) მონაწილე მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, კლასი) ;
- გ) საზოგადო მოღვაწე, რომლის შესახებაც იქნება პროექტი.

თუ მონაწილე გუნდები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, ნამუშევრები წარმოდგენილია არასრულყოფილად ან არაეთიკურად ნამუშევარი არ განიხილება.

ეტაპები	ვადები
I ეტაპი - მოსწავლეთა გუნდების რეგისტრაცია	18.04.2019 –06.05.2019-ის 18:00 საათამდე.
II ეტაპი - პროექტის ანგარიშის, მოსწავლეთა ვიდეო-რგოლისა და პრეზენტაციის გადაგზავნა	24.05.2019 - ის 15:00 საათამდე.
III ეტაპი - ჟიურის მიერ 10 საუკეთესო ნაშრომის შერჩევა და მონაწილეებთან დაკავშირება	25.05.2019 – 30.05.2019
კონფერენციის დასკვნითი ღონისძიება	08. 06.2019

## თავი III კონფერენციის ჩატარების პროცედურა

### მუხლი 4. კონფერენციის პირობები

1. კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლია VIII, IX, X, XI, XII კლასის ყველა მოსწავლეს, რომელიც ფლობს ფრანგულ ენას.
2. მონაწილე მოსწავლეები, ხელმძღვანელ მასწავლებელთან ერთად, განხორციელებული პროექტის ანგარიშს, მასწავლებლის რეფლექსიასთან ერთად, პროექტის პრეზენტაციას, მოსწავლეთა ვიდეო-რგოლის ლინკს აგზავნიან ელ.მისამართზე : 23ecole@gmail.com )

### კონფერენციის დასკვნითი ღონისძიება

ა) ფინალი გაიმართება 2019 წლის 8 ივნისს, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის N23 საჯარო სკოლაში. კონფერენციის ყველა ფინალისტ მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი, ხოლო I, II, III ადგილებზე გასული გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან დიპლომებით.

გ) საკონფერენციო ნამუშევრები შეფასდება კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

დ) კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ გუნდებს, რომელთა ნამუშევრები აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს :

- o თემასთან შესაბამისობა;
- o საკითხის დასმა;
- o კვლევითი კომპონენტის არსებობა;
- o ენობრივი გამართულობა;

პროექტის წერილობითი ანგარიში შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების საგანი	ქულების დიაპაზონი				
	0	1	2	3	4
საკითხის აქტუალურობა					
პროექტის ინტერდისციპლინარულობა					
განხორციელებული აქტივობების შესაბამისობა მიზანთან					
რესურსების (ადამიანური, მატერიალური) მრავალფეროვნება პროექტის მიმდინარეობის პროცესში					
კვლევითი კომპონენტი					
პროექტის სტრუქტურა					
ვიდეო-რგოლის ენობრივი გამართულობა ( ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა)					
პროექტის ორიგინალურობა					

პროექტის პრეზენტაცია შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით

	ქულების დიაპაზონი				
	0	1	2	3	4
ფრანგული ენის ფლობა : ლექსიკა					
ფონეტიკა - წარმოთქმა					
გრამატიკა					
აუდიტორიის ფლობის უნარი					
დროის ლიმიტი					
პრეზენტაციის ვიზუალური მხარე					
პრეზენტაციის ორიგინალურობა					